პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 9 (19451) ◆ შაბათი, 11 იანვარი, 1986 წელი ◆ ფასი 8 კაპ.

პარტიის ყრილობა — შრომითი ნოვატორობის ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატები



დედაქალაქის 161-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი ლონდა მებურნეშვილის ხელმძღვანელობით, სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად, მონდომებით იღვწის მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის შემდგომი სრულყოფისათვის.

ლ. მებურნეშვილი საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატია. მთელი პასუხისმგებლობით ემზადება ყრილობის გახსნის დღისათვის. იგი ხომ იმ სახელოვანი არმიის სახელით წარდგება კომუნისტთა ყრილობაზე, რომელიც ქვეყნის მომავალს — უმაწვილებს მეცნიერების საფუძვლების დაუფლების გარდა, მამულის სიყვარულს, ხალხისათვის თავდადებასა და ერთგულებას, შრომის სიყვარულს ასწავლის.

ს. კილაძის ფოტო.

ინიციატორთა დევიზით:

მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა — სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის!

გემთმშენებელთა სიტყვა

ფოთი. ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი-გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივი დროის მნიშვნელოვანი გასწრებით შრომობს. ამაზე მეტყველებს წლის დამდეგიდან განცდილი ყოველი სამუშაო დღის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ცხადია, გემთმშენებელთა სწრაფი ტემპი შარშან მოპოვებულმა დამაჯერებელმა შედეგებმაც განაპირობა. მათ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს მიმდინარე წლის პირველი თვის გეგმა 23 იანვარს — საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ. საწარმოს კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა და დაუჭირა მხარი თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა, ფაბრიკა „ნარიყალას“ № 3 საამქროსა და თბილისის საფუძრის ქარხნის ბრიგადების ინიციატივას სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის.

მის შესრულება ჯერ კიდევ 7 ნოემბრისათვის უსატაკა სამშობლოს, ნაცვლად 6377 ათასი მანეთისა გამოშვებული და რეალიზებულია 6385 ათასი მანეთის პროდუქცია, მომხმარებელმა 208 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მიიღო.

1986 წლის 2 თვის გეგმას საამართველოს კოლექტივი, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა, თბილისის ფაბრიკა „ნარიყალას“ № 3 საამქროსა და თბილისის საფუძრის ქარხნის ბრიგადების მსგავსად, სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულებს.

გამოსაკუთრებით საინტერესო შრომითი მიღწევებით დაიწყო ახალი ხუთწლედი თერჯოლის ავტოსატრანსპორტო საწარმოს (დირექტორი — ზ. გაბრიელიძე, პარტბიუროს მდივანი — ზ. დოლაკიძე) კოლექტივმა. აქ მთლიანად გააანალიზეს ავტოფარეხი, მოიწყო შესაკეთებელი ობიექტები, დამონტაჟდა ამწე-დანადგარები, შეიქმნა სამრეცხაო და სხვა საჭირო უბნები.

თერჯოლელმა ავტოტრანსპორტელებმა გასულ ხუთწლედში ნაცვლად საგეგმო 5625 ათასი ტონისა, გადაზიდეს 5630 ტონა ტვირთი, შესრულებულია 58981 ტონაკილომეტრი, რაც საგრძნობლად აღემატება გათვალისწინებულს, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა 120,6 პროცენტი შეადგინა. ავტოტრანსპორტელები შრომობენ დევიზით: „სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის ვიმუშაოთ დაზოგილი ენერგიით, ნედლეულითა და მასალებით“, მიმდინარე წლის ორი თვის გეგმას ისინი სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულებენ.

მოთავარია მომჭირნეობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). წელიწადს „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივის მუშაობის შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი ხდება მომჭირნეობა. ამ მიმართულებით აქ სამუშაოები დაიწყო გასულ ხუთწლედში და განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა შარშან. შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკული და მატერიალური რესურსების მომჭირნედ ხარჯვის კომისია, ასევე, კომისიები ცალკეულ საწარმოებშიც მოქმედებს. გახხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მარტო შარშანდელი წლის ცხრა თვეში დაიზოგა 6641 კუბური მეტრი სამაგრი მასალა, 5.316.700 კილოვატსაათი ელექტროენერგია, 51,7 ტონა ფოლადის ბაგირი, 144 ტონა ასაფეთქებელი მასალა და სხვა.

სტალინის, დიმიტროვის, პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამაგირო მასალის მომჭირნედ ხარჯვას, რის შედეგადაც ზემოხსენებულ პერიოდში დიდძალი დეფიციტური მასალა დაიზოგა.

მასალების ეკონომიის ხელს უწყობს წარმოებაში მეცხიერულ-ტექნიკური პროგრამის დაჩქარება. სამთოელები შრომობენ დევიზით: „სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის ვიმუშაოთ დაზოგილი ენერგიით, ნედლეულითა და მასალებით!..“.

დიდი დასაწყისის მიჯნასთან

ამ თავრდა კიდევ ერთი სამეურნეო წელი და მასთან ერთად მეთერთმეტე ხუთწლედი. ჩვენმა სალხმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერა თავისი ცხოვრების ისტორიაში.

ზედ ორი ხუთწლედის გასაყარზე გამართულმა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის მე-40 კონფერენციამ დარეგორივად დასასრულა რესპუბლიკაში ჭეშმარიტად მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოწყობილი საანგარიშო-საარჩევნო კამპანია და ერთგვარ გენერალურ ყრილობისწინა დათვალიერებად იქცა.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კონფერენციებზე, საერთოდ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს ღრმად, საფუძვლიანად, ნაშდვილი პარტიული თვალთახედვით გააანალიზეს მარტო ბოლო ორი წლის კი არა, ფაქტობრივად მთელი ხუთწლედის მანძილზე გაწეული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, ის რთული, მაგრამ საინტერესო შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც რესპუბლიკის პარტორგანიზაციაში მიმდინარეობდა სკკპ XXVI ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების საფუძველზე.

ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის დროს ერთხელ კიდევ გამოიკვეთა ის დადებითი ტენდენციები, რომლებიც ამ ბოლო წლებში ასე ხელშესახებია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში. ძალუმად შეიგრძნობოდა კომუნისტთა აქტიურობის და შეგნების მაღალი დონე, პარტიისა და ხალხის ერთიანობა, მზადყოფნა მომავალ დიდ მიზნდასახულობათა შესრულებისათვის საბრძოლველად. ამ აქტიურობის გამოხატულებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობის პერიოდში 30 ათასზე მეტმა კომუნისტმა იკისრა გადიდებული ვალდებულებები, გამოიჩინა სხვადასხვა თაოსნობა და ინიციატივა, აგრეთვე წარმოების სფეროში დასაქმებულ კომუნისტთა 40 პროცენტმა 1985 წლის ან მთლიანად ხუთწლედის ვადამდე შესრულება ითავა და სიტყვა საქმედაც იქცა.

წლევანდელი ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის საერთო დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ძირითადი ყურადღება გადაუჭრელ პრობლემებს, ბოლომდე შეუსრულებელ მიზნებს და ამის მიზეზების კვლევას დაეთმო. დღის წესრიგიდან არ ისსნებოდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიც არის ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება, სახალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარების რელსებზე გადაყვანის გზები და საშუალებები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების აუცილებლობა და ა. შ. კრებებისა და კონფერენციებისათვის მეტ-ნაკლებად საერთო ნიშანი იყო ბევრადვე მიმდინარე და პერსპექტიული საკითხების ერთ მთლიანობაში განხილვა და ასე მსჯელობა თითოეულ მათგანზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტრიბუნიდან საუბარი — იყო ეს საანგარიშო მოხსენებები თუ კამათში გამოსვლები — საგნობრივობით გამოირჩეოდა, კრიტიკა დამსახურებული, მისამართიანი გახლდთ, რაც განსაკუთრებული ელფერი და მნიშვნელობა შესძინა ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას. ასე კრიტიკით და თვითკრიტიკით, მოგალე პერსპექტივათა ხედვით, წარმატებებისკენ მიმავალი კონკრეტული გზების დასახვით გამოირჩეოდა, მაგალითად ქუთაისის საქალაქო კომიტეტის, თბილისის ლენინის, გურჯაანის, გარდაბნის, თეთრი წყაროს რაიონული კონფერენციები, რომელთა მონაწილეებმა პირუთვნელად, კომუნისტური პრინციპლობით ამხილეს თავიანთ მუშაობაში არსებული ნაკლი, მისი მიზეზები და ასე დასახეს სამომავლო სამოქმედო.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ყველა საქალაქო თუ რაიონული პარტიული კონფერენცია ამგვარ კონდიციას ვერ ინარჩუნებდა. ზოგან შეინიშნებოდა წაყრუების, ნაკლის მიჩუმათების, პრობლემებისადმი ზერელე მიდგომის ნიშნები. მესტიის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, მაგალითად, საგნობრივი საუბრის ადგილი ზოგადმა ფრაზებმა დაიკავა. მოკამათეებმა თითქმის არაფერი თქვეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში კომუნისტთა ავანგარდული როლის თაობაზე. პარტიის თბილისის კიროვის რაიონულ კონფერენციაზე კი ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმეს წინა კონფერენციაზე დასახულის შეჯამებას, სათანადოდ ვერ გამოიკვეთა აგრეთვე ის, თუ როგორ მუშაობენ რაიკომის აპარატის მუშაკები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან.

სიძნელეები ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია, და ეს არ დაუმალავთ არც კრებების და არც კონფერენციების მონაწილეებს. მათს დასაძლევად ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო. მაგრამ როდესაც ხელი საიმედო ორიენტირი, მომავალი საქმიანობის ზუსტად დამუშავებული პროგრამა გვაქვს, სიძნელე იოლდება. ორიენტირი კი ის საყრილობო დოკუმენტებია, რომლებიც პარტიამ ფართო სახალხო განხილვისათვის გამოიტანა კომუნისტთა უმაღლეს ფორუმამდე რამდენიმე თვით ადრე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, სკკპ ნუსხების ცვლილებების, სსრ კავშირის სოციალური და ეკონომიკური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტები ნამდვილი საყოველთაო-სახალხო მსჯელობის საგნად იქცა. ჩვენი ცხოვრების არც ერთი უმნიშვნელო უბანიც არ დარჩენილა ხალხის ყურადღების მიღმა.

ამ დღეებში ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. მეტონიძის სტატია, რომელშიც იგი ლაპარაკობს ჩვენი ყოველდღიურობისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა მანკიერ მოვლენებზე და დაუფარავად გვიჩვენებს საკუთარ პოზიციას. „არის საკითხები, — წერს იგი, — რომლებიც პარტიული ორგანიზაციების მუდმივ ყურადღებას მოითხოვს: ვინ არ იცის, რომ ნეგატიური მოვლენები ფრიად გამძლეა. საკმარისია ოდნავ მოდუნება, და მაშინვე თავს იჩენს ხოლმე ძველი ავადმყოფობის რეციდივები“. ამ შემოხვევაში იგი პროტექციონიზმის მეტისმეტად მავნე სენზე ამახვილებს ყურადღებას და გამოთქვამს სურვილს, რომ სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის იმ განყოფილებაში, რომელიც პარტიის სოციალურ პოლიტიკას ეხება, უფრო მწვავედ და მკაფიოდ თქმულიყო ამ ბოროტების შესახებ.

წელი, რომელიც რამდენიმე დღეა დაიწყო, განსაკუთრებულია. კარგ დასაწყისზე ხომ ბევრია დამოკიდებული. ეს აღიარებული ჭეშმარიტებაა. მაგრამ როდესაც ისეთი მასშტაბური მოვლენის დაწყებაზეა საუბარი, როგორიც მეთორმეტე ხუთწლედია, ამ დასაწყისის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ჩვენ ახლა დიდი დასაწყისის მიჯნასთან ვდგავართ. ამ ხუთწლედანმა გვეგმამ მართლაც უდიდესი მისია უნდა შეასრულოს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ამიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა მის პირველ წელიწადს. „ეს არის სკკპ XXVII ყრილობის წელი, წელი, რომელსაც მოაქვს ახალი ეკონომისმყოფელი ცვლილებები საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და შრომაში“. ეს ითქვა ამას წინათ თბილისის საქალაქო კომიტეტის მე-40 პარტიულ კონფერენციაზე. მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა უნდა დაადგეს ინტენსიური განვითარების გზას, ამისათვის კი საჭირო, ერთი მხრივ, ხალხის უდიდესი შემოქმედებითი ენერგიის სწორი კალაპოტით წარმართვა და, მეორე მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. ორივე მომენტის უზრუნველყოფა ადგილებზე მხოლოდ სწორი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობით არის შესაძლებელი. ამიტომ ახლა მთავარია ახლად არჩეულმა პარტიულმა აქტივმა, იმათ, ვისაც ნდობა გამოუცხადეს თანამოსაქმეებმა და არჩევითს ორგანოებში აირჩიეს, მაქსიმალური უკუგებით იმუშაონ. საჭირო დავალებების ოპტიმალურად განაწილება, რათა თითოეულმა კომუნისტმა თავისი უნარის, გეშოვნების შესაფერისი საქმე მიიღოს. საქმიანობის ყველა უბანზე სანმუშო დისციპლინის დამკვიდრებამ, მძლავრი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენებამ, საერთოდ კომუნისტთა განაწესის უთუო და განუხრელი შესრულებისათვის მუდმივმა ზრუნვამ უნდა მოგვცეს ის შედეგები, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის არის საჭირო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ამოცანები, რომელთა მიზანია პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება და ამ მიზნით მთელი არსებული რეზერვების გამოყენება.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, თანამედროვე პირობებში პროდუქციის ხარისხის პრობლემა მთელი ჩვენი პრაქტიკული საქმიანობის პირველ პლანზე დგება. ამაზეა საბოლოო ანგარიშით დამოკიდებული საზოგადოების მოთხოვნილებათა, საქონელსა და მომსახურებაზე საბჭოთა ადამიანების მზარდი მოთხოვნის უფრო სრული დაკმაყოფილება. მშრომელთა მრავალი წინადადების გათვალისწინებით მიზანშეწონილად ცნეს შემუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერებისათვის, რათა უახლოეს დროში მივაღწიოთ ძირეულ შემობრუნებას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში და არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულოთ უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების გადიდების, ახალ სახეობათა მასალების, მანქანების, მოწყობილობის, მოსახლეობისათვის მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების გაღიდების საგეგმო დავალებანი. აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ განვითარდეს სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე გაიზარდოს საწარმოების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების პერსონალური პასუხისმგებლობა საჭირო ორგანიზაციული, ტექნიკური და ეკონომიკური პირობების შექმნისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის დიდ ნაყოფიერებას და პროდუქციის მაღალ ხარისხს.

იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო განვითარდეს და დაიცვეწოს სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობა, გაიზარდოს მისი როლი სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, სოფლად სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში, მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელმაც დასახა სოფლის მოსახლეობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების, კოოპერაციული ორგანიზაციებისა და საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მათთვის ტრანსპორტის საშუალებათა გამოყოფის, საჭირო ფინანსური და სხვა დახმარების გაწევის ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ზრდას, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას. საკოლმეურნეო ბაზრებში კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობის სრულყოფას. გარდა ამისა, დადგენილებით გათვალისწინებულია დამატებითი უპირატესობანი და შეღავათები გავრცელდეს შრომის ანაზღაურებაში სამომხმარებლო კოოპერაციის ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებზე.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ შორეული აღმოსავლეთის სამხრეთ რაიონებში, ბურიატეთის ასს რესპუბლიკასა და ჩიტის ოლქში მდებარე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებს დაუწესდეთ ხელფასის დანამატები. ეს დანამატები დადგენილია მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის, რომელიც გამოითვლება მიმდინარე წლის დამდეგიდან.

მოიწონეს მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ დახმარება გაუდიდეთ ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა შვილებსა და სახელმწიფო დახმარება მიეცეს ქვრივებს, რომლებსაც ჰყავთ შვილები, მაგრამ არ იღებენ მათთვის პენსიას „მარჩენლის“ დაკარგვის გამო.

პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება სამოქალაქო ავიაციის პოლიტიკური ორგანოების შექმნის შესახებ. ამ ორგანოებს ეკისრებათ ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია პარტიულ-პოლიტიკურ, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობასთან, მიზნად ისახავს აეროფლოტის პარტიული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებას, პირადი შემადგენლობის დისციპლინის განმტკიცებასა და ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მისი პასუხისმგებლობის გადიდებას, მუშაობის დიდ ეფექტიანობასა და მაღალ ხარისხს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ზოგიერთი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია სკკპ XXVII ყრილობისადმი მზადებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებში საბჭოთა წარმომადგენლების საქმიანობასა და პარტიის საკადრო პოლიტიკის განხორციელებასთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავაძლიეროთ ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ა. გ. კარანაძის ანგარიში „რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ორგანოებსა და სასამართლოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, მისმა პარტორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად. განხორციელდა კადრების განმტკიცების, მათი აქტიურობის, პასუხისმგებლობისა და ინიციატივის გაზრდის ღონისძიებანი. გაძლიერდა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმებისა და პრეზიდიუმის ხელმძღვანელი როლი, იხვეწება მისი კოლეგიების, მთელი აპარატის საქმიანობის ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები. გაუმჯობესდა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის, საკასაციო კოლეგიებისა და პირველი ინსტანციის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, უფრო მკაცრად იცავენ საქმეთა განხილვის ვადებს.

1984-1985 წლებში მუშაობის სისტემური მეთოდის შემუშავებამ და უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში დანერგვამ გაზარდა მისი გავლენა ქვემდგომ სასამართლოებში კანონიერების უზრუნველყოფაზე.

დადებითი შედეგები მოგვცა მოქალაქეთა საჩივრების განხილვის მეთოდიკამ, რომელსაც იყენებს უმაღლესი სასამართლო, რის შედეგადაც სტაბილურად მცირდება საჩივრების რიცხვი. საყურადღებოა მუშაობა სამართალწარმოებაში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა დანერგვისათვის.

ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მუშაობა ამ მიმართულებით შემდგომ სრულყოფასა და გააქტიურებას საჭიროებს.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, ხელმძღვანელობას, მისი პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს დაევალათ განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების უფრო მტკიცე ბრძოლა ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, საქმის გაჭიანურების, მექრთამეობის გამოვლინებების, სხვა ბორტმოქმედებათა წინააღმდეგ, ყოველმხრივ განამტკიცონ რესპუბლიკის მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანო სიმდიდრ, კვალიფიციური კადრებით; გაზარდონ აპარატის პასუხისმგებელი პირების, რგოლების ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობა; გააძლიერონ უმაღლესი სასამართლოს უშუალო ზემოქმედება წესრიგის, დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცების პროცესზე, რომელიც გააქტიურდა რესპუბლიკაში; ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინების თითოეული ფაქტის გამო შეიტანონ მოტივირებული კერძო განჩინებანი და მიაღწიონ მათს უთუო შესრულებას.

უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებმა უნდა მიაღწიონ საქმიანობის ყველა ფორმის შემდგომ სრულყოფას, უწინარეს ყოვლისა სასამართლო საქმეების განხილვის მეთოდიკას, რომელსაც იყენებს უმაღლესი სასამართლო, რის შედეგადაც სტაბილურად მცირდება საჩივრების რიცხვი. საყურადღებოა მუშაობა სამართალწარმოებაში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა დანერგვისათვის.

უნდა გავაძლიეროთ უმაღლესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის როლი. გავზარდოთ მომთხოვნელობა სასამართლო მუშაკებისადმი, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან მართლმსაჯულების აღსრულების დაკისრებულ პასუხსაგებ მოვალეობებს. საჭირო შემთხვევებში პრინციპულად უნდა დავაყენოთ მათი ვადამდე გაწვევის საკითხი.

უნდა გავაძლიეროთ სასამართლოებში მართლმსაჯულების აღსრულების ხარისხსა და დონეზე უმაღლესი სასამართლოს გავლენის ქმედითობა; ძირითადად ყურადღება დაეუთმოთ სასამართლო შეცდომების პროფილაქტიკას, მივაღწიოთ იმას, რომ მოქალაქეთა სასამართლო საქმეები წყდებოდეს ადგილებზე, გაუჭიანურებლად და საჭირო არ იყოს მათი გასაჩივრება ზემდგომ სასამართლო და სხვა ინსტანციებში, გავწიოთ ეს მუშაობა სხვა სამართლდაცვითს ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმქმედებით.

აქტიურად უნდა ვიბრძოლოთ თანამდებობის და სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინების წინააღმდეგ, რომლებსაც მოჰყვება მუშა-მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნა, ბინებიდან მოქალაქეთა გასახლების შესახებ ინასწორი სარჩელების შეტანა.

საქმის გაჭიანურების, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებებისადმი მკაცრი და ქმედითი კონტროლის დაწესების მიზნით 1986 წელს უმაღლესი სასამართლოს მუშაობაში დაინერგოს მოქალაქეთა სასამართლო საქმეების განხილვის ოპერატიულობის გაზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას, სასამართლო შეცდომების აღმოფხვრას, გამორიცხონ მოქალაქეთა დაუსაბუთებელი მოცდენა საზოგადოებრივი შრომისა და პირადი საქმეებისაგან.

უნდა გავაძლიეროთ უმაღლესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის როლი. გავზარდოთ მომთხოვნელობა სასამართლო მუშაკებისადმი, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან მართლმსაჯულების აღსრულების დაკისრებულ პასუხსაგებ მოვალეობებს. საჭირო შემთხვევებში პრინციპულად უნდა დავაყენოთ მათი ვადამდე გაწვევის საკითხი.

უნდა გავაძლიეროთ სასამართლოებში მართლმსაჯულების აღსრულების ხარისხსა და დონეზე უმაღლესი სასამართლოს გავლენის ქმედითობა; ძირითადად ყურადღება დაეუთმოთ სასამართლო შეცდომების პროფილაქტიკას, მივაღწიოთ იმას, რომ მოქალაქეთა სასამართლო საქმეები წყდებოდეს ადგილებზე, გაუჭიანურებლად და საჭირო არ იყოს მათი გასაჩივრება ზემდგომ სასამართლო და სხვა ინსტანციებში, გავწიოთ ეს მუშაობა სხვა სამართლდაცვითს ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმქმედებით.

აქტიურად უნდა ვიბრძოლოთ თანამდებობის და სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინების წინააღმდეგ, რომლებსაც მოჰყვება მუშა-მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნა, ბინებიდან მოქალაქეთა გასახლების შესახებ ინასწორი სარჩელების შეტანა.

საქმის გაჭიანურების, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებებისადმი მკაცრი და ქმედითი კონტროლის დაწესების მიზნით 1986 წელს უმაღლესი სასამართლოს მუშაობაში დაინერგოს მოქალაქეთა სასამართლო საქმეების განხილვის ოპერატიულობის გაზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მიზნით, ეფექტიანობისა და ეკონომიკურობის ამაღლებისა, ეფექტიანი ზომები ეკონომიკურ-ტექნიკურ საშუალებათა ფართოდ დანერგვ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაქტები • მოვლენები

გამოცდილება გაუზიარეს

ამერიკა-კავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პარტორგანიზაციებში დამთავრებული ანგარიშგება-არჩევნები გახდა პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებების, აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების VI სრულიად საარმიო თათბირის რეკომენდაციათა განხორციელებისათვის გაწეული პარტიული მუშაობის ყველა მხარის ნამდვილი დათვალიერება. ეს ითქვა პარტიული კომისიების, პარტიული კომიტეტების მდივნების, ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობაში პოლიტორგანოების უფროსი ინსტრუქტორების შეკრებაზე, რომელიც ოლქის პოლიტიკურმა სამმართველომ მოაწყო.

შეკრებაზე მოხსენება გააკეთა ამერიკა-კავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა — პოლიტსამმართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ლ. გულევიჩმა.

შეკრების მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები, ერომანეთის გაუზიარეს სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ოლქის მეომართა დასარაზმავად ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება. პარტიულმა აქტივისტებმა მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარში, რომელზეც განიხილეს „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გადიდების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის საქმიანობის გააქტიურების ძირითადი მიმართულებანი (საქინფორმი).

საქმესის განცხადება

ბონი დღეებში მკვეთრად გამწვავდა ვითარება ხმელთაშუა ზღვის რაიონში.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის პოლიტიკურ წრეებში, იმ ქვეყნების პრესაში ძლიერდება ახალი აღვირახსნილი ლიბიის საწინააღმდეგო კამპანია, რომელშიც აქტიურად ჩაება ნატოს წევრი ზოგიერთი სახელმწიფო. ამჯერად მისი საბაბი გახდა რომისა და ვენის აეროპორტებში ამას წინათ მომხდარი ტრაგიკული ამბები, სადაც უცნობმა პირებმა ჩაიდინეს ტერორისტული აქტები და ცდილობენ ამის გამო პასუხისმგებლობა ახლა ლიბიის დააკისრონ. ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ ლიბიის ჯამაჰირიას არაერთგზის განუცხადებია, რომ არაფერი აქვს საერთო არც რომისა და ვენის ამბებთან, არც სხვა ამგვარ აქტებთან. ამის თაობაზე მის ოფიციალურ განცხადებებს, მათ შორის იმ განცხადებას, რომელიც მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ენერგიული მდივნისათვის გაგზავნილ წერილში, შეგნებულად უგულებელყოფენ. უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ სულ ახლახან, ცის მეკობრეთა მიერ ეგვიპტის თვითმფრინავის ხელმი ტაგდების შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის ზოგიერთ სხვა ქვეყნებში ასევე აყენებდნენ ბრალდებებს ლიბიის მისამართით, თითქოს და იგი მონაწილეობდა ამ ტერორისტული აქტის ორგანიზაციაში. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ სავსებით ცხადყო ასეთი მონაჯორების უსაფუძვლობა და სიყალბე.

ახლა არ სჯერდებიან უბრალოდ შეჩერასა და შანტაჟს ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის მიმართ. 7 იანვარს პრეზიდენტმა რ. რეიგანმა, რომელმაც თქვა, თითქოს ლიბიის მთავრობის „პოლიტიკა „საფრთხეს უქმნიდეს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ უშიშროებას“, და გამოაცხადა „საგანგებო წესები ქვეყანაში ამ საფრთხის აღკვეთისათვის“, შემოიღო ახალი სანქციები, რომლებიც ფაქტობრივად მთლიანად კრძალავენ შეერთებული შტატებისა და ლიბიის ეკონომიკურ და სავაჭრო-კავშირურთიერთობას.

გარდა ამისა, გამოაცხადეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიბიის ყველა ავუარის გაყინვა იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო მეტად შეარყიონ ლიბიის ფინანსურ-ეკონომიკური პოზიციები.

ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმების საწინააღმდეგოდ შეერთებულმა შტატებმა ნამდვილ ეკონომიკურ აგრესიას მიმართა სუვერენული არაბული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ვაშინგტონში ცინიკურად ამყარებენ იმედს იმაზე, რომ მათი მართლაწინააღმდეგო აქცია მოშლის ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას, უარყოფითი გავლენას მოახდენს მოსახლეობის მასების საარსებო ინტერესებზე და ამით აიძულებენ ლიბიის ხელისუფლებას, ბოლოს-და-ბოლოს, ამერიკის დიქტატს.

ოფიციალური ამერიკელი წარმომადგენლები ამავე დროს აშკარად გვაგრძნობინებენ, რომ მალე შეიძლება მიმართონ „კიდევ უფრო გადამჭრელ მოქმედებას“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამხედრო აქციებს ლიბიის წინააღმდეგ. ამისათვის მზადება, როგორც ამერიკის საინფორმაციო საგენტოებისა და ბეჭდვითი ორგანოების ცნობები მოწმობს, აქტიურად გრძელდება.

პენტაგონმა და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ლიბიის კონკრეტული ობიექტებიც კი დასახეს დასაბომბად. იტალიიდან ლიბიის ნაპირებისაკენ გაეშურა ამერიკის ავიამზიდი „ეიბრაალ სი“ „ფ-18“ ტიპის ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენების ოთხი ესკადრილიიფურთ. მას თან ახლავს რამდენიმე კრეისერი, საესკადრო ნაღმოსანი და ფრეგატი. ასოშეიტედ პრესის საგენტოს ცნობით, მათ დასახმარებლად ამერიკის შეერთებული შტატებიდან გაიგზავნა საბრძოლო თვითმფრინავების ჯგუფი, ხოლო ავიამზიდს „ამერიკას“ და „ინოვას“, ამერიკის ნაპირებთან რომ იმყოფებიან, მიეცათ ბრძანება მზად იყვნენ ხმელთაშუა ზღვაში შესაძლო გადაადგილებისათვის. თავისი თვითმფრინავების მნიშვნელოვანი ჯგუფი ნატოს სიცილიის ბაზაზე გადაგზავნა ისრაელმაც.

ხმელთაშუა ზღვის წყლებში ლიბიის მახლობლად ამ დემონსტრაციული სამხედრო აქციების გარდა, ამერიკის შეერთებული შტატები ყოველმხრივ აქეზებს ისრაელს, თავის „სტრატეგიულ მოკავშირეს“, თავს დაესხას ამ ქვეყანას. გაისმის მოწოდება „დასჯონ“ ლიბია და გამოიყენონ ყველა შესაძლო სანქცია ამ სუვერენული არაბული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ვაშინგტონის მიერ წაქეზებული ისრაელი თავხედურად ემუქრება ლიბიელებს. ძალის გამოყენების მუქარა გაისმის აგრეთვე სირიის, დემოკრატიული იემენისა და ზოგიერთი სხვა არაბული ქვეყნის წინააღმდეგ. ამრიგად, საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს წინასწარ ამზადებენ იმისათვის, რომ შესაძლოა გაგრძელდეს ყაჩაღური აქტები, ისეთები, ისრაელს მზედრაონმა რომ ჩაიდინა ერაყისა და ტუნისის წინააღმდეგ.

ხმელთაშუა ზღვაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის ფართო მასშტაბის საომარი მზადება სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მარტო ლიბიას, არამედ ამ რეგიონის სხვა სახელმწიფოებსაც. ეს მოქმედება ძირს უთხრის ვითარების მსოფლიოს ამ ნაწილში.

რა თქმა უნდა, ტერორიზმი, როგორც ასეთი, ყოველმხრივ დასაგმობია. მთელი მსოფლიო გაერთიანების ძალები უნდა დაირაზმონ, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ტერორისტულ აქტებს, რომლებსაც თან სდევს ადამიანთა უაზრო დაღუპვა, რომლებიც არღვევენ ნორმალურ საერთაშორისო კონტაქტებს.

აღიკვეთოს პროვოკაციული აქტი

სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლობათა წერილი ხ. პერეს დე კუელიარს

ნიუ-იორკი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მუდმივმა წარმომადგენლობებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელიარს (გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ყურადღებას მიაპყრობენ იმ ვალდებულებების ახალ დარღვევებს, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა იკისრა როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინისა და მასთან აკრედიტებული უცხოური მისიების ადგილსამყოფელმა ქვეყანამ. 6 იანვრის შემდეგ ვაშინგტონის ხელისუფლებამ შეზღუდეს ამ სოციალისტური ქვეყნების დიპლომატების მიმოსვლა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

განაცხადეს რა მტკიცე პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების აქვთ აქციის წინააღმდეგ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლობებმა აღნიშნეს, რომ ეს მოქმედება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, კერძოდ, მის 105-ე მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიების თანამშრომლებსა და სამდივნოს მუშაკებს ორგანიზაციაში შემავალი ყოველი ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინის ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზეც, ისეთი პრივილეგიები და იმუნიტეტი აქვთ, როგორიც საჭიროა მათი მოვალეობის შესასრულებლად. ამერიკის ხელისუფალთა მოქმედების პროვოკაციულობა და ფურდიული უსაფუძვლობა უფრო ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ყველა უცხოური საელჩოს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანამშრომლებსაც მინიჭებული აქვთ ყველა დიპლომატიური პრივილეგია, შეუზღუდავი მიმოსვლის ჩათვლით, ნათქვამია წერილში.

ახალი მტრული აქცია მოჰყვა შეერთებული შტატების ამასწინანდელ ცდას გაეფრთხილებინა ავტორიტეტული საერთაშორისო დაწესებულების მუშაობა, როცა ამერიკის ადმინისტრაციამ მიმოსვლა შეუზღუდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს თანამშრომლებს, მათ შორის ვიეტნამის, კუბისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს.

უცქინსკნელ სიკაროს

იძულებითი აღიარებაც და მუქარაც

ვაშინგტონი. აქ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი შულცი იძულებული იყო ელიარებინა, რომ ჩაიფუშა რეიგანის ადმინისტრაციის ყოველგვარი ცდა — ლიბიის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებში მონაწილეობა მიეღოთ მის დასავლეთევროპელ მოკავშირეებს. მაგრამ, ამავე დროს მან გასაგებად თქვა, რომ შეერთებული შტატები არ მოეშვება დასავლეთევროპელებს. შულცმა გაანაცხადა, რომ მომავალ კვირაში დასავლეთ ევროპის მთელ რიგ დედაქალაქებში გაემგზავრება მისი მოადგილე უაითპედი, რომელიც „ყველა ღონეს იხმარს“, რათა დაარწმუნოს ამერიკის მოკავშირენი ჩაიბან ანტილიბიურ კამპანიაში. პრესკონფერენციის დროს შულცმა თავი აარიდა პასუხს კითხვაზე, აპირებს თუ არა შეერთებული შტატები მიმართოს საბჭოთა სამხედრო აქციებს ლიბიის წინააღმდეგ.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მძვინვარე ანტილიბიური პროპაგანდისტული ისტერია სულ უფრო აღვირახსნილ და ავბედით ფორმებს იღებს.

ქალაქ კლივლენდის ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკელმა სენატორმა ჰოვარდ მეცენბაუმმა წამოაყენა წინადადება მოაწყონ თავდასხმა ლიბიის რევოლუციის ლიდერის მუამარ კადაფის მოკვლის მიზნით. მეცენბაუმმა განაცხადა: „ალბათ, ჩვენ მივაღწიეთ იმ მომენტს, როცა კადაფი თავიდან უნდა მოვიშოროთ“. გაოცებული რეპორტიორის კითხვაზე, მხედველობაში აქვს თუ არა სენატორს კადაფის ფიზიკური მოსპობა, მეცენბაუმმა უპასუხა: „რატომაც არა?... ეს ჩვენი მხრივ ამგვარი პირველი აქცია არ იქნებოდა“.

● გფრ

როცა კონკრეტული საქმე სიტყვას სცილდება

კანცლერ ჰ. კოლის პრესკონფერენცია

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. კოლმა მოაწყო ამ წელიწადში თავისი პირველი პრესკონფერენცია, რომელიც მისი კაბინეტის მომავალი პერიოდის საგარეო-პოლიტიკურ ამოცანებს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის საკითხებს მიეძღვნა.

„1986 წელზე, — განაცხადა ბონის მთავრობის მეთაურმა, — უეჭველია მნიშვნელოვანწილად მოახდენს გავლენას ორი დიდი სახელმწიფოს მიმდინარე მოლაპარაკება, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის მეორე უმაღლესი დონის შეხვედრა“.

ჰ. კოლმა ბევრი ილაპარაკა „მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების“, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხებზე, იმაზე, რომ „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ეს-წრაფვის პროგრესს საშუალო სიმორის ბირთვული რაკეტების თაობაზე შუალედური შეთანხმების მიღწევაში, ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის, ქიმიური იარაღის საყოველთაო და სრული აკრძალვის საკითხებში“.

მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის, რომ ფედერალური კანცლერის სიტყვები არ შეესაბამება ოფიციალური ბონის კონკრეტულ საქმეებს. სწორედ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, როგორც ევროპის ერთ-ერთ ქვეყანას, სულაც არ უკავია ყველა ამ საკითხში კონსტრუქციული პოზიცია. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ განქცია მისცა და ქვეყნის ტერიტორიაზე განალაგებს პირველი დარტყმის ახალ ამერიკულ ბირთვულ რაკეტებს. და სწორედ ამ დღეებში ხუსტრიუკის ტყის მასივში ამერიკის ჰაინის სამხედრო ბაზაში მიიტანეს პირველი რაკეტა იმ 96 მომაკვდინებელი ფრთოსანი რაკეტიდან, რომლებიც განკუთვნილია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის.

ბონს აქამდე არ გაუცია საკმაოდ პასუხი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობათა წინადადებაზე იმის შესახებ, რომ დაიწყოს მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში ქიმიური იარაღისგან თავისუფალი ზონის შექმნის თაობაზე. „საბუთად“ იყენებენ იმ არგუმენტს, რომ ამ პრობლემის რეგიონალური გადაწყვეტა თითქოს „ხელს შეუშლის ქიმიური იარაღის საყოველთაო და სრული აკრძალვის პროცესს“.

იმის მიუხედავად, რომ ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო ფენები მტკიცე პროტესტს უცხადებენ ვაშინგტონს ყბადაღებული ამერიკის „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ შექმნის ავბედითი ზრახვების გამო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ ნება დართო დასავლეთ გერმანიის ფირმებს მონაწილეობა მიიღონ „გარსკვლავეთის ომების“ პროგრამაში. ჰ. კოლმა თავი აარიდა პირდაპირ პასუხს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გ. კულბოკის კითხვაზე, შეგნებული აქვს თუ არა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, რა ნეგატიური შედეგები მოჰყვება გაძალებული შეიარაღების გაძალიერებასა და მის კოსმოსში გავრცელებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის განვითარებისათვის, და განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოზიცია ამ საკითხზე ცნობილიაო.

მოკლედ

● **მანაგუა.** ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, 6 იანვარს კონტრრევოლუციონერთა ბანდა ჰონდურასელი ჯარისკაცების მხარდაჭერით შეეცადა შეჭრილიყო ნიკარაგუის ტერიტორიაზე ნუეგასეგოვის დეპარტამენტში, მაგრამ იგი სასაზღვრო ჯარებმა მოიგერიეს. ბოლო ცხრა დღის განმავლობაში ეს უკვე მეოთხე ინციდენტია, რომელიც პროვოკაციულად გამოიწვიეს ნიკარაგუის საზღვარზე ჰონდურასის სამხედრო მოსამსახურეებმა და დაქირავებულმა კონტრრევოლუციონერებმა.

● **დამასკი.** ქალაქების ნაბლუსისა და რამალაჰის სამხედრო ტრიბუნალების განაჩენების თანახმად, ისრაელის მიერ ოკუპირებულ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე საპყრობილეში ჩაგდეს კიდევ 10 პალესტინელი არაბი. მათ წაუყენეს სტანდარტული ბრალდება, რომ წინააღმდეგობას უწევდნენ საოკუპაციო რეჟიმს.

● **ჰავანა.** აქ ხელი მოაწერეს კუბისა და ნიკარაგუის სავაჭრო გაცვლის ოქმს. იგი ითვალისწინებს ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას. დოკუმენტს ხელი მოაწერეს კუბის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა რიკარდო კაბრიისასმა და ნიკარაგუის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ალეხანდრო მარტინეს კუნეკამ.

● **ვაშინგტონი.** 1986 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი კვლავ სწრაფი ტემპით გაიზრდება. ასეთი ავბედითი პროგნოზი გააკეთა კონგრესის საბიუჯეტო ბიუროს დირექტორის მოადგილემ მარკ დესოტელმა. უეჭველია, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ დეფიციტის ოდენობა მომდინარე საფინანსო წელს „მნიშვნელოვნად გადააჭარბებს“ 200 მილიარდ დოლარს.

ფოტოკადრი ადასტურებს

სისხლიანი ომი ამერიკული დოლარებით

ნაპოლეონ დუარტეს პრაზერიკული რეჟიმი სალვადორში სისხლიან ომს ეწევა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. სამოქალაქო ომში იღუპება ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები. ხუთ წელიწადში სალვადორის ავიაციის მიერ სოფლების ბარბაროსული დაბომბვის, დამსჯელი ბატალიონების ჯარისკაცთა მიერ ელეხების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების დაწყებიდან სალვადორის არმიის დანაკარგებმა მისი შემადგენლობის 25 პროცენტს გადააჭარბა.

სურათებზე: ამერიკული დოლარების წყალობით შეიარაღებული და ამერიკელი სამხედრო მრჩევლების მიერ გაწვრთნილი ეს არამზადა მზად არის ყველა მოკლას განურჩევლად; „სიკვდილის ესკადრონთა“ ტერორის მსხვერპლნი.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები სულ უფრო მეტ იარაღს აწვდის დუარტეს რეჟიმს, ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმები წარმატებულ საბრძოლო ოპერაციებს ახორციელებენ სალვადორის 14-დან 12 დეპარტამენტში. მარიონეტული რეჟიმის ჯარების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების დაწყებიდან სალვადორის არმიის დანაკარგებმა მისი შემადგენლობის 25 პროცენტს გადააჭარბა.

სურათებზე: ამერიკული დოლარების წყალობით შეიარაღებული და ამერიკელი სამხედრო მრჩევლების მიერ გაწვრთნილი ეს არამზადა მზად არის ყველა მოკლას განურჩევლად; „სიკვდილის ესკადრონთა“ ტერორის მსხვერპლნი.

● **ბოლივია**

გმოზენ მტრულ კამპანიას

ლა-პასი. ბოლივიის კომპარტია აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქვეყანაში გააქტიურდა ანტიკომუნისტური კამპანია.

ბოლივიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ ბოლო დროს გაძლიერებული პროვოკაციული აქციების სულისჩამდგმელია ამერიკის იმპერიალიზმი. ადგილობრივი *მემარჯვენე პრესისა და რეაქციული წრეების დაბმარებით ცდილობენ ბოლივიის კომპარტიას, სხვა დემოკრატიულ პარტიებსა და ორგანიზაციებს ბრალად დასდონ ბოლივიასა და მთლიანად რეგიონში ტერორისტული ჯგუფების მხარდაჭერა. ცილისმწამებლური კამპანიის მიზანია, ხაზგასმით არის აღნიშნული დოკუმენტში, შეარყიონ ბოლივიის როგორც კომუნისტების, ისე მთელი პროგრესული და დემოკრატიული ძალების პოზიციები და სახელი გაუტეხოს მათ.

ბოლივიის კომპარტია გადაჭრით უარყოფს ვაშინგტონის რეცეპტებით შეთითხნილ ამ სიცრუესა და ცილისწამებას. შეერთებული შტატებისა და ადგილობრივი რეაქციის სახით. მისი აგენტურის ხრიკებს, აღნიშნულია დოკუმენტში, მხარს არ უჭერს ბოლივიელი ხალხი. მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირული ორგანიზაციები გმობენ მტრულ კამპანიას.

● **აშშ**

ფინანსური მარეშეის იმედით

ნიუ-იორკი. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელმა განაცხადა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რადიოსამსახური იძულებულია შეწყვიტოს გადაცემები ამერიკის სამთავრობო რადიოსადგურ „ამერიკის ხმასთან“ ახალი კონტრაქტის დაუდებლობის გამო, რომლის რადიოგადამცემები ტრადიციულად იჯარით აქვს აღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

1986 წლისათვის ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებისას „ამერიკის ხმამ“, უფრო სწორად, მისმა ვაშინგტონელმა პატრონებმა, რადიოგადამცემების გამოყენებისათვის მოითხოვეს საიჯარო გადასახადი, რომელიც ექვსჯერ აღემატება წინა წლის გადასახადს. ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ ფინანსური მარყუჟის მეშვეობით ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს აღკვეთოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რადიოგადაცემები, რომელთა პროგრესული მინაარსი არ ეპიტნავება ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ ადმინისტრაციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. ოთარ დანიელის ძე ქინჭქლაძე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობიდან სამეცნიერო-პედაგოგიურ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. ნუგზარ დომენტის ძე რუხაძე საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

მომანიჭეთ საჩქაროდ...

ჩამოდის ჩემი სურათი და გვირგვინი, შიგ წერია — 60. გამოდიხარ შენ (ეუბნება პირველ მმესალმებელს), და მესალმები პირველი. პირველი მმესალმებელი მოიმარჯვებს სათვალეს და კითხულობს.

რამაზი — ძვირფასო იუბილარო, ამ 60 წლის წინათ დაიბადეთ ქუთაისის მაზრაში, სოფელ ბეყნოულში, თქვენი მამა გლეხი იყო, ხოლო დედა — დიასახლისი, ბავშვობიდანვე შეიყვარეთ ადამიანი და ბუნება, თქვენ ბრძანდებით უკეთილშობილესი, უგანთლებულესი, ყოვლისმცოდნე და მხილველი, თქვენ ხართ სახელოვანი და სახელგავარდნილი!

ეროსი — სახელგავარდნილი არ ვარგა!

რამაზი — რა ექნა, ძმაო, შენი დაწერილია და...

ეროსი — აქ ყველას გამოსვლა ჩემი დაწერილია, მაგრამ ეს სახელგავარდნილი მეტისმეტი არ იყოს...

ჯემალი — ვთქვათ უბრალოდ: მხოლოდ სახელოვანი, მორჩა და გათავდა.

ყველანი — მორჩა და გათავდა!

ეროსი — კი მაგრამ, შენ რომ ხოტბას მასხამ, მე რას ვშვრები?

რამაზი — შენ მორცხვად ხრი თავს და ჩუმად იყურები ლოყისაკენ, სადაც ვარლამ ნოეზირი იჯდება. ესენი კი რიგრიგობით დროდადრო წამოიძახებენ: „ვაშა, იუბილარს“.

ეროსი — მერე საჩუქრების მორთმევა დაიწყება, ამის აპოთეოზი იქნება, როცა შენ მშობლიური რაიონის მშრომელების სახელით გახვალ, შემოიყვან ცხენს და აი, აქ დაადამ!

გურამი — ცხენს?!

რამაზი — მე მახსოვს, ოპერის ერთ სპექტაკლში მონაწილეობდა ცხენი.

თენგიზი — მეეროდა?

სპექტაკლი კარგად წავიდა და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სამაგიეროდ იუბილარები დირიჟაბლებივით დაიბერნენ.

სულ ორ დღეს გასტანა სიხარულმა, სულ ორჯერ ვითამაშეთ „იაკოროსის მოსვლამდე“ და... ბასტა, იმდენმა ვინმემ დარეკა, მერე ეკრანზე არავის უნახავს.

ეროსის წაქეზებით დავჯექეთ და ეს „იკაროსის მოსვლამდე“ სპეციალურად ეროსისათვის პიესად დავწერეთ, რომელსაც „ჩვენს პატარა სავარძლებში“ ერქვა.

როცა ჯერი რეცენზიებსა და ნებართვის დასტურს მომცემ ბეჭედზე მიდგა, კეროიზი მოხდა. პირველმა რეცენზენტმა, რეპერტკომის აზრი წარმოთქვა!

— ეს პიესა არ შეიძლება დაიდგას, იმიტომ, რომ მასში არ არის არც ერთი დადებითი გმირი!

ახლა ჩვენ ვეცით კლასიკურ ლიტერატურას და „აღმოვაჩინეთ“, რომ არც „რევიზორში“ არ არის არც ერთი დადებითი გმირი.

მაშინ იმ „სანებართვო“ დაწესებულების ხელმძღვანელი ერთი გონებაგახსნილი კაცი იყო. მუდამოდ ჩარჩა ჩვენს მეხსიერებაში, ვისაც რაიმე ხელი გვერია ამ სპექტაკლთან. დარეკა ცხობილმა აკადემიკოსმა, მადლობა გვითხრა, შეგვაქო, პიესა მოიკითხა. როცა ჩვენი გასაჭირი ვუთხარით, თქვა:

— მდა�ა... ასაკს მიღწეულ იუბილარებს თქვენ რას გაუძღებით!.. კიდევ კარგი, მთლად არ დაგარბიესო...

მაგრამ სადაც უნდა გაიქცეთ, ვერსად ვერ შეხვდებით იმ ძველებურ დარბაისლურ მოკრძალებას, რომლის წყალობით ჩვენი ძველი მოღვაწეები და ცხობილი ხალხი უარს ამბობდნენ იუბილეებზე, ზარ-ზეიმზე, შეხვედრებზე (ქალაქებში და იმ რაიონებში, საიდანაც ისინი ბრძანდებიან), საგაზეთო, რადიო და სატელევიზიო გამოსვლებზე, რომლებიც წყლის წვეთებივით ჰგვანან ერთმანეთს.

ასეთ წერილებს, რომლებიც ხშირად ყოვლად უხეიროდ იწერება დამსახურებულ ადამიანებზეც კი, ერთმა ჩვენმა მკითხველმა „მხიარული ნეკროლოგები“ შეარქვა, რადგან უმეტეს წერილს ბოლოს



ჩამოდის ჩემი სურათი და გვირგვინი, შიგ წერია — 60. გამოდიხარ შენ (ეუბნება პირველ მმესალმებელს), და მესალმები პირველი. პირველი მმესალმებელი მოიმარჯვებს სათვალეს და კითხულობს.

რამაზი — ძვირფასო იუბილარო, ამ 60 წლის წინათ დაიბადეთ ქუთაისის მაზრაში, სოფელ ბეყნოულში, თქვენი მამა გლეხი იყო, ხოლო დედა — დიასახლისი, ბავშვობიდანვე შეიყვარეთ ადამიანი და ბუნება, თქვენ ბრძანდებით უკეთილშობილესი, უგანთლებულესი, ყოვლისმცოდნე და მხილველი, თქვენ ხართ სახელოვანი და სახელგავარდნილი!

ეროსი — სახელგავარდნილი არ ვარგა!

რამაზი — რა ექნა, ძმაო, შენი დაწერილია და...

ეროსი — აქ ყველას გამოსვლა ჩემი დაწერილია, მაგრამ ეს სახელგავარდნილი მეტისმეტი არ იყოს...

ჯემალი — ვთქვათ უბრალოდ: მხოლოდ სახელოვანი, მორჩა და გათავდა.

ყველანი — მორჩა და გათავდა!

გავეცნეთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

სკკპ XXVII ყრილობის შესასვლელად

● **ლონდონ ლაბარტყავა, საწარმოო გაერთიანება „საქსამთამქმრეწის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ინჟინერი:** სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის მეოთხე ნაწილში, სადაც ლაპარაკია პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი ძალის შესახებ, მიზანშეწონილია შეტანილ იქნეს დამატება. სახელდობრ: წინადადებას ვიძლევი, ოცდამეორე აბზაცის მეორე წინადადება ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით: **„პარტიის წევრთა მტკიცე, შეგნებული დისციპლინა იმის საჭირო პირობა და უცილობელი წანამძღვარია, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში დამკვიდრდეს სანიმუშო სოციალისტური დისციპლინა“.**

● **იგორ გოლოვატიუკი, აფხაზეთის ასსრ „გზარემმშენის“ № 3 ტრესტის მექანიკური სახელოსნოს უფროსი:** სკკპ წესდების პროექტის მეორე განყოფილების მე-14 პარაგრაფით განსაზღვრულია პარტიაში მიღების წესი. პროექტში სავსებით სწორად არის ნათქვამი, რომ პარტიული ორგანიზაცია უნდა დაეხმაროს კანდიდატს სკკპ რიგებში შესვლისათვის მოსამზადებლად, შეამოწმოს მისი პირადი თვისებები პრაქტიკული საქმეებით, პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებით. მაგრამ სიტყვების — „საკანდიდატო სტაჟის ვადად წესდება ერთი წელიწადი“ — შემდეგ წინადადება შემომაქვს დაიხვრას ძმიმე და დაემატოს: „ზოლო 28 წლამდე ასაკის პირებისათვის — ორი წელიწადი“.

● **რაბინ მესხიძე, ქობულეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე:** პარტია ნიადაგ იბრუნებს პედაგოგიური კადრების, განათლების მთელი სისტემის მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, ნათქვამია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის მეორე ნაწილის მე-5 განყოფილების მეორე ქვეგანაყოფის ბოლოს. ბუნებრივია, რომ სტიმულს გვანიჭებს ჩვენ, სახალხო განათლების მუშაკებს, ეს სიტყვები. ამასთანავე, ვფიქრობ, პროექტის ეს ქვეგანაყოფი მიზანშეწონილია გაძლიერდეს კონკრეტული დებულებით პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის უმაღლეს სასწავლებელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

● **ბაბრაკ ტეხოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საშრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი:** სკკპ წესდების პროექტის პირველი განყოფილების პირველი პარაგრაფი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით: **„სკკპ წევრი შეიძლება იყოს სსრ კავშირის ყოველი მოქალაქე, რომელიც ცნობს პარტიის პროგრამას და წესდებას, აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის მშენებლობაში და თავისი იდეურ-პოლიტიკური დონით, მორალურ-ზნეობრივი თვისებებით შეესაბამება პარტიის მოთხოვნებს. პარტიის წევრები არიან პირნი, რომლებიც ახრულებენ მის გადაწყვეტილებებს, მუშაობენ ერთერთ პარტიულ ორგანიზაციაში და იხდიან საწევრო შესატანს“.**

● **სვეტლანა ნათიანაძე, ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის მუშა:** ბავშვების აღზრდისათვის პასუხს უნდა აგებდეს ყველა — ოჯახი, სკოლა და შრომითი კოლექტივიც. შემთხვევითი როდია, რომ სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის მესამე განყოფილების მეორე ნაწილში პირდაპირ არის ნათქვამი, თუ რადენენ საჭიროა ყოველმხრივ გაეგერმოთთ მათი თანამოქმედება ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

წინადადებას ვაყენებ, ამ განყოფილების მეჩვიდმეტე აბზაცის ბოლოს, სიტყვების — „ამაღლდეს მშობლების“ — შემდეგ დაისვას ძმიმე და დაემატოს სიტყვები: **„შრომითი კოლექტივებისა და შეფი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა“.**

● **ივანე მინდორაშვილი, გურჯაანის რაიონის ახაშენის საბჭოთა მეურნეობის ეკონომისტი:** სკკპ წესდების პროექტის მე-6 განყოფილების 52-ე პარაგრაფში, სადაც ლაპარაკია პარტიის პირველად ორგანიზაციებზე, წინადადებას ვიძლევი დაემატოს შემდეგი წინადადება: **„სოფლად შეიძლება შეიქმნას პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც გაერთიანებენ მოცემული სოფლის ტერიტორიაზე მცხოვრებ პარტიის წევრებს“.**

პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში რეალურად, ობიექტურად არის შეფასებული საზოგადოების შესაძლებლობანი და განვითარების პერსპექტივები. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მასში 1961 წელს მიღებული პარტიის პროგრამისაგან განსხვავებით ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიზნად არ არის დასახული დანაშაულობის საბოლოო ლიკვიდაცია. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა დიდ დროს მოითხოვს. განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არსებობს ყველა პირობა ანტისოციალური მოვლენების სრული აღმოფხვრისათვის. ამ ეტაპზე არის ყველა აუცილებელი წანამძღვარი დანაშაულობის თანდათანობითი და შეუქცევადი შემცირებისათვის. იქნებ მიზანშეწონილი იყოს დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემა პროექტში გაშუქდეს იმ ანტაგონისტური წინააღმდეგობის ფონზე, რომელიც განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი.

პროექტში მითითებულია, რომ უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები და გადაწყვეტილებები გამოტანილი იქნება საყოველთაო სახალხო განხილვისა და კენჭისყრისათვის. ამ ღონეებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ შეთანხმებისა, როდესაც საკითხი ეხება რაიმე ქმედების დანაშაულად გამოცხადებას (კრიმინალიზაციას). ასეთი აქტი უაღრესად დიდ წინდახედულობას მოითხოვს და უთუოდ გულისხმობს სამართალმემქმნელი ფაქტორების — ეკონომიკური, იდეოლოგიური, პოლიტიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ზნეობრივი, ორგანიზაციულ-მმართველობითი, სოციალურ-სამართლებრივი ფაქტორების ყოველმხრივ გათვალისწინებას. ამჯერად გამოვყოფთ საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულებას იმ ქმედებისადმი, რომელიც დანაშაულად უნდა გამოცხადდეს. ერთი რამ უცილობელია: საზოგადოებრივი აზრის შეფასების, ადამიანთა ურთიერთობაში დამკვიდრებული არაოფიციალური ქცევის შაბლონები, სტანდარტების გაუთვალისწინებლად ქმედობის დანაშაულის რანგში აყვანა ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს, მაგალითად, თუ კანონმდებელი აკრძალავს ქმედობას, რომელიც ნორმალურად ითვლება ადამიანთა ურთიერთობის პრაქტიკაში. საკანონმდებლო პრაქტიკიდან ცნობილია შემთხვევა, როდესაც უშედეგოდ ცდილობდნენ ოჯახის დანგრევის თავის აცდენას განქორწინების აბსოლუტური აკრძალვით. არაა გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, როდესაც საზოგადოებრივ ქმედებისათვის ერთი პასუხს აგებს სისხლისსამართლებრივი წესით, ხოლო მეორე, ვთქვათ მშრომელთა კოლექტივის წინაშე.

ლიტერატურაში ის თვალსაზრისიც კია გამოთქმული, რომ პერსპექტივაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ზოგიერთი ქმედებისათვის გაუქმდეს და დარჩეს მხოლოდ ქონებრივი პასუხისმგებლობა, თუ, რასაკვირველია, შეიძლება უარს ვთქვათ ზოგად გფერთხილებაზე. მაგალითად, როდესაც ერთდროულად ზიანი მიაყენეს პიროვნებასა და ქონებას, მაშინ დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთამ შეიძლება გააძნელოს ამ ზიანის ანაზღაურება, ხოლო თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულმა სახსრებმა შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს საზოგადოების მატერიალური დანაკლისი.

ამ მოსაზრებების გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩაიწეროს ერთი ფასეულობა, რომ ერთ ადამიანს ერთ ადამიანზე ზიანი მიაყენებინოს ... ეკონომიკური, ... ეროვნული, ... ეროვნული, ... ეროვნული

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები, განიხილეს კურორტ ბახმაროს განაშენიანებისა და განვითარების საკითხები.

თათბირზე მოისმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი კურორტების სამმართველოს უფროსის ზ. ღუღუნიშვილის ინფორმაცია.

აღინიშნა, რომ პროფკავშირთა კურორტების მართვის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს კუთვნილი ნაგებობებისა და სხვა ძირითადი ფონდების ადგილობრივი კურორტების სამმართველოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო (მინისტრი დ. დვალიშვილი) გამოყოფს შესაბამის ლიმიტირებულ სახსრებს მათ შესაძენად. ადგილობრივ კურორტთა სამმართველოს გამოეყოფა აგრეთვე ზღვრულ ასიგნებათა ლიმიტი და შესაბამისი საშტატო ერთეულები კურორტ ბახმაროს დირექციის შესაქმნელად.

საქართველოს სსრ სახმშენმა (თავმჯდომარე გ. მირიანაშვილი) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ოპერატიულად უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად კურორტ ბახმაროს განაშენიანების გენერალური გეგმის პროექტი.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო (მინისტრი ბ. სარალიძე) წლეულსვე შეიმუშავებს ნაბიღლავ-ბახმაროს გზის მშენებლობის ტექნიკურ დოკუმენტაციას. ამასთან, გათვალისწინებული იქნება, რომ მშენებლობა აუცილებლად უნდა დამთავრდეს მეთორმეტე ხუთწლეულში, ხოლო საკურორტო სეზონის დამდეგისათვის უზრუნველყოფს ნაბიღლავ-ბახმაროს გზაზე ტრანსპორტის მოძრაობისათვის ყველაზე საშიში მონაკვეთების რემონტს.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო (მინისტრი თ. დავითაშვილი) პირველი კვარტალის ბოლომდე განიხილავს წლევანდელი საკურორტო სეზონისათვის ჩოხატაურ-ბახმაროს მარშრუტზე 15 გაზრდილი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის გამოყოფის საკითხს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი (თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მინისტრი გ. მგელაძე) ჩოხატაურის რაიონულ აღმასკომთან (თავმჯდომარე ს. ცინცაძე) ერთად ოპერატიულად განიხილავს და გადაწყვეტს საძოვრების დისლოკაციის საკითხს კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე და პირუტყვის გადარეკვისა და ძოვების ლიკვიდაციის მიზნით.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო (მინისტრი შ. ჭალაგანიძე) საქკურორტს ყოველწლიურად გამოუყოფს 500 კუბურ მეტრ ხე-ტყეს ჩოხატაურის ტყის მეეწველობის რესურსებიდან.

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტთა სამმართველომ (მმართველი ზ. ღუღუნიშვილი) უნდა გაშალოს მუშაობა, რათა მიიზიდოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების მსხვილ საწარმოთა სახსრები კურორტის განაშენიანებაში საქმიანი მონაწილეობისათვის, დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რათა საკურორტო სეზონმა წარმატებით ჩაიაროს.

ცნობად მიიღეს, რომ საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო (თავმჯდომარე ნ. შარაძენიძე) გამოყოფს საჭირო ფართობს ჩოხატაურის საქვეუწყებო შენობაში კურორტ ბახმაროს დირექციისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა (გ. შანიძე) უნდა უზრუნველყოს, რომ 1986-1990 წლებში გამოიყოს ლიმიტები და სახსრები კურორტ ბახმაროს გენერალური გეგმით გათვალისწინებული ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობისათვის.

აღნიშნულ დაპირებათა შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლი დაევალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილებას.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ენუქიძემ.

ბახმარო — ჩვენი საუკეთესო!



ბახმაროს კომპლექსური განაშენიანების პრობლემა კარგა ხანია აღელვებთ არქიტექტორებს. იყო ცალკეული ცდები კურორტის გეგმა-პროექტის შედგენისა, მაგრამ კვლავ და კვლავ მოკლე გახლდათ მათი თვალსაწიერი — აქაოდა, საბანი მეტზე ვერ გავწვდებაო, მხოლოდ ზაფუნელის სეზონით იფარგლებოდნენ. საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის გ. თოთიბაძის მიერ დამუშავებულ გენერალურ გეგმაში პირველად დაირღვა ეს სეზონურობა. პირველადო, იმიტომ ვამბობთ, რომ ბახმარო ზამთრობით მოწყვეტილი გახლდათ ქვეყნიერებას და მხოლოდ გვიან გაზაფხულზე თუ დაირღვევდა ვინმე მის „თეთრ მდუმარებას“. მეტიც, არამც თუ პრაქტიკულად, წარმოდგენითაც ვერ წარმოედგინათ მოელი წლით მისი გამოყენება. აღნიშნულ პროექტში კი, ადრინდელთაგან განსხვავებით, პირველად ითქვა კურორტის სეზონის დაშრეგვალებაზე, პირველად გაესვა ხაზი ზამთრის პირობებშიც მის ფუნქციონირებას, რაც, თავისთავად, წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ... ოღონდ ნახაზზე!

თუმცა, საფუძვლიანად არც ეს პროექტი ითვალისწინებდა კურორტის უმდიდრეს კლიმატურ შესაძლებლობებს სრულფასოვანი დასვენების ორგანიზაციისათვის და ისიც ზამთარში, ანუ როგორც ოდითგანვე მიაჩნდათ, აქაურობისათვის „მკვდარ სეზონში“. მოკლედ, რომ იტყვიან, განძით სავსე სკივრს მხოლოდ თავი აეხადა.

ბახმაროს ამ „აქილევსის ქუსლს“ საკავშირო საგეგმო კომიტეტის შრომითი რესურსების გამოყენების საბჭოს ამიერკავკასიის სექტორის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ე. დ. სილაევმა მიაქცია ჯეროვანი ყურადღება — შეიმუშავა კურორტზე სამთო-ტურისტულ კომპლექსთა მშენებლობისა და მათი ზამთრის სეზონშიც ექსპლოატაციის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა, რის საფუძველზეც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ „საქქალაქმშენსახპროექტს“ დაავალა წარმოდგენა წინადადებანი კურორტ ბახმაროს განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისათვის.

და მართლაც, ინსტიტუტის ძალებით განსაზღვრულ ვადებში განხორციელდა სათანადო დასაბუთება, რომელიც დაამტკიცა კიდეც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რაც უკვე ვაუწყეთ მკითხველს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

სამოცოდ 1982 წელს დამტკიცებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის მეექვსე სახელოსნოს დაევალა დაემუშავებინა კურორტის განაშენიანების კომპლექსური გენერალური გეგმა, რის თაობაზეც ვესაუბრეთ პროექტის ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელს, არქიტექტორ მერაბ ჩხენკელს.

— ბახმაროს ლანდშაფტი, ალბათ, საკმაოდ რთული გადასაჭრელი პლანშეტზე.

— სავსებით გეთანხმებით. დაპროექტებისას მის ამა თუ იმ ღვთით ბოძებულ სიკეთეს თუ დაეყრდნობი... შეცდომა გარანტირებულია! ამიტომ ყველა კომპონენტს ძნასაით უნდა მოუყაროთ თავი და იმგვარი „ულოთი“. შეკრა...

— ამიტომაც უფრთხოდნენ და უფრთხიან არქიტექტორები სიტყვა კომპლექსურს ამ კურორტის დაპროექტებისას?

— ვერც გაამტყუნებ: გამოგრჩება რაიმე, დღესდღეობით „წვრილმანი“ და, ბეალ-ზეგ აუგად უნდა მოგიხსენიონ, თავიდან იწვალონ მის გამოსწორებაზე. ეს კი ნახაზს იქით, მოგეხსენებათ, ძნელია და ძნელად მისატევებელიც.

— ავტორთა კოლექტივმა დროულად გაართვა თავი კურორტის გენერალური გეგმის დაპროექტებას და, როგორც ვიცით, სახმშენის არქიტექტურულმა სახგზომაც მაღალი შეფასებით მიიღო ნამუშევარი. რამ შეგიწყოთ ხელი პროექტის ასე სწრაფად და მაღალხარისხოვნად გასრულებაში?

— ბახმაროს საიდუმლოებას კარგა ხანია ჩასწვდნენ. ოღონდ ეგ არის, ნაწილ-ნაწილ და სხვადასხვა დროს. ყოველ პროექტს ჰქონდა თავისი ღირსება თუ ნაკლი. აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ ფსიქოლოგიურ ფაქტორს: ძნელია გული დაუდო პროექტს, რომელსაც გრძნობ, რომ დიდი დღე არ უწერია. მისი გრძელი დღე კი პრაქტიკული ხორცშესხმაა. წარმოიდგინეთ, რა განწყობით მიუჯდება მწერალი საწერ მაგიდას, თუ წინასწარვე ეეჭვება მომავალი წიგნის გამოცემა.

ჩვენც ამ დღეში აღმოვჩნდებოდით გუშინ და გუშინწინ. მაგრამ დღეს, როცა ასე გადაჭრით და ასე ხმამაღლა ითქვა ბახმაროზე: უნდა დაპროექტდეს, აშენდეს და დროულად ჩადგეს ადამიანთა კეთილდღეობის სამსახურშიო, დღემეხვალიობა ღალატის ტოლფასია.

ისე კი ნუ გაგვიგებთ, თითქოს თავს ვიქებდეთ. მთავარი წინ არის, მთავარი პროექტის დამტკიცება, განხორციელება და, საბოლოოდ, დამსვენებლის გულითადი სტრიქონებია კურორტის შთაბეჭდილებათა წიგნში.

ამ განწყობით, ამ ენთუზიაზმით მოეკიდა პროექტს საავტორო კოლექტივი — არქიტექტორები გ. ენინელაძე და ვ. დემეტრაძე, გ. სარაჯიშვილი და რ. ჯანშია, ბ. ხმალაძე და ინჟინერ-ეკონომისტი ლ. შანიძე.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე, რომელიც ბახმაროზე სამთო-ტურისტულ და დასასვენებელ კომპლექსად მშენებლობას ითვალისწინებს, დროულად დავამთავრეთ კურორტის განაშენიანების გენერალური გეგმის დაპროექტება. ამას წინ უსწრებდა ადგილობრივი პირობების სათანადო შესწავლა, საკვლევაძიებო სამუშაოები და სხვა. მოკლედ, ყველა ამ მონაცემის გულმოდგინე გათვალისწინებით შევადგინეთ გეგმა, რომელიც, ჩვენი აზრით, მეტ-ნაკლებად სრულყოფილად შეიძლება ჩაითვალოს.

— როგორ ჩაბარა პროექტმა „ზამთრის გამოცდა?“

— ჯერ ტექნიკურ-ეკონომიკური, შემდგომ კი გენგეგმის დამუშავებისას ბახმარომ უკეთ გაგვაცნო თავი ამ თვალსაზრისით. ჩვენც საბოლოოდ ვირწმუნეთ მისი საუკეთესო ბუნებრივი პირობები ზამთრის დასვენების ორგანიზაციისათვის. აქ ხომ ნოემბრიდან აპრილამდე ქათქათებს თოვლი. 1900 მზიანი საათიდან 1300 ზამთრის პერიოდზე მოდის. ამასთან კურორტს იდეალური სათხილამურო ფერდობები (თოვლის მთელი „სტადიონები“) აქვს, რომელთა საერთო ფართობი 450-480 ჰექტარს აღემატება. სიმაღლეთა სხვაობა 1800-2670 მეტრი, დახრილობა კი 17-19 გრადუსია. სათხილამუროდ შერჩეულ ფერდობთა გამტარუნარიანობამ, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის სპეციალისტებმა (ვ. მიქელაძე, თ. ქავთარია, ლ. ლორთქიფანიძე) და „საკსპორტპროექტის“ წარმომადგენლებმა (ხელმძღვანელი — ი. ანსომოვი) გამოიკვლიეს, მოგვცა საშუალება კურორტი ერთდროულად 3500-3800 ორგანიზებულ დამსვენებელზე დაგვეპროექტებინა, ხოლო მომსახურე პერსონალისა და არაორგანიზებულ დამსვენებელთა რიცხვის გათვალისწინებით კურორტის ტევადობა 13000 კაცით განგვესაზღვრა.

გენგეგმა ითვალისწინებს სკოლის, საბავშვო ბაღ-ბაღების, კულტურის, ვაჭრობისა და სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობას.

თავად ბახმაროს უმაღლესი კატეგორიის ბუნებრივმა პირობებმა არ მოგვცა საშუალება, ვყოფილიყავით უფრო შეღავათიანები და შედარებით დაბალი კატეგორიის დასასვენებელი სახლები თუ სასტუმროები დაგვეპროექტებინა. გენგეგმა უმაღლესი კატეგორიის ნაგებობებს ითვალისწინებს — რესტორნებითა და კაფე-ბარებით, კლუბებითა და მუსიკის სალონებით, სპორტდარბაზებითა და ღია თუ დახურული საცურაო აუზებით, ყინულის მოედნებითა და სათამაშო ბაქნებით.

ჩვენი გენერალური გეგმა კრძალავს კურორტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი თუ კერძო ტრანსპორტის მოძრაობას ჰაერის სისუფთავის დაცვის. მიზნით. ამიტომაც შევაჩერეთ არჩევანი ელექტრომობილებზე. გენგეგმა არ გამორიცხავს მარხილებისა (ზამთარში) და ეტლების (ზაფხულში) გამოყენებას, რაც ეგზოტიკურ ელფერსაც შეუნარჩუნებს აქაურობას.

— ამგვარ კომფორტულ, რთული საინჟინრო მოწყობილობით აღჭურვილ კურორტს სათანადო კვალიფიკაციის მომსახურე პერსონალიც დასჭირდება.

— სწორი შენიშვნაა. ამიტომაც უნდა ვიზრუნოთ ამთავითვე მის მომზადებაზე.

კურორტის რთული, მაგრამ აუცილებელი საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა გულისხმობს მისი სასმელი წყლითა და კანალიზაციით, ელექტრო და თბომომარაგებით, კავშირგაბმულობის საშუალებებითა და რადიო-ტელევიზიით უზრუნველყოფას. ამას დავუმატოთ საბაგირო გზები, დელტაპლანერიზმი და სხვა. ყოველივე ამას ხომ სათანადო სპეციალისტები და მომსახურე პერსონალი სჭირდება. ბახმაროსაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ბახმარო ხვალ-ზეგ დელტაპლანერიზმის განვითარების ცენტრი გახდება რესპუბლიკაში.

ლ. გახარია.

გთავაზობთ ბახმაროს განაშენიანების პანორამას (ქვემოთ). № 1 ინდექსით აღნიშნულია დაბა მომსახურე პერსონალისათვის (5000 მცხოვრები), რომელსაც საგარაჟო-კოოპერატიული მშენებლობისათვის (700 ოჯახი) გამოყოფილი ტერიტორია ემიჯნება; 500-800-ადგილიანი დედათა და ბავშვთა დასვენებისათვის განკუთვნილი სანატორიუმი ტიპის პანსიონატი (№ 2); 2000-ადგილიანი ტურისტული სასტუმრო (№ 3); 1000-ადგილიანი პანსიონატი (№ 4); ზონათა სათხილამურო ფერდობები აღნიშნულია კლაკნილით; ძირითადი სასრიალო ფაფარის ფერდობი, რომლის მწვერვალი ზღვის დონიდან 2615 მეტრზე მდებარეობს.

ზემოთ თქვენ ხედავთ 2000-ადგილიანი ტურისტული სასტუმროს (საერთო ხედი) და დედათა და ბავშვთა პანსიონატის (ფრაგმენტი) ჩანახატებს.

ვ. გენგიურის ფოტო.

პროექტი ხელთა გვაქვს, ახლა?..

ნიაციისათვის. აქ ხომ ნოემბრიდან აპრილამდე ქათქათებს თოვლი. 1900 მზიანი საათიდან 1300 ზამთრის პერიოდზე მოდის. ამასთან კურორტს იდეალური სათხილამურო ფერდობები (თოვლის მთელი „სტადიონები“) აქვს, რომელთა საერთო ფართობი 450-480 ჰექტარს აღემატება. სიმაღლეთა სხვაობა 1800-2670 მეტრი, დახრილობა კი 17-19 გრადუსია. სათხილამუროდ შერჩეულ ფერდობთა გამტარუნარიანობამ, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის სპეციალისტებმა (ვ. მიქელაძე, თ. ქავთარია, ლ. ლორთქიფანიძე) და „საკსპორტპროექტის“ წარმომადგენლებმა (ხელმძღვანელი — ი. ანსომოვი) გამოიკვლიეს, მოგვცა საშუალება კურორტი ერთდროულად 3500-3800 ორგანიზებულ დამსვენებელზე დაგვეპროექტებინა, ხოლო მომსახურე პერსონალისა და არაორგანიზებულ დამსვენებელთა რიცხვის გათვალისწინებით კურორტის ტევადობა 13000 კაცით განგვესაზღვრა.

გენგეგმა ითვალისწინებს სკოლის, საბავშვო ბაღ-ბაღების, კულტურის, ვაჭრობისა და სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობას.

თავად ბახმაროს უმაღლესი კატეგორიის ბუნებრივმა პირობებ-

ყველას ჩამოთვლა, მართლაც რომ, შორს წაგვიყვანდა.

— მაგრამ ბახმარო ხომ არც ისე უკაცრიელია. რა ბედი ეწევა ძველ სახლებსა თუ ნაგებობებს. მომსახურე პერსონალიც ხომ ახსენეთ...

— ბახმარო უგეგმოდ არის განაშენიანებული. ხის ძველი სახლები ვერც დიდთოვლობას უძლებს და ვერც ელემენტარულ სანიტარიულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. გენგეგმა კი მთელი საგარაჟო-კოოპერატიული დასახლების მშენებლობას ითვალისწინებს.

რაც შეეხება მომსახურე პერსონალს, მისთვის ცალკე დაბა გაშენდება. ერთი და ორსართულიანი სახლები მკვიდრად ნაგებიც იქნება, ორიგინალურიც და კომფორტულიც. მათი დაპროექტება გაბრდილი პერსპექტიული ნორმებით უნდა მოხდეს. მოკლედ, აქ ყველა პირობა შეიქმნება მომსახურე პერსონალის მუდმივი დამკვიდრებისათვის.

— თუ იციან გენგეგმის არსებობა იმ უწყებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებსაც ძილშიც უნდა ახსოვდეთ ბახმარო?

— საამოსო თადარიგი წინასწარვე დავიჭირეთ. გენგეგმა შეთანხმებულია ყველა დაინტერესებულ

ბახმარო — ჩვენი საუკეთესო!

ექნება თავისი ეგზოტიკური ქუჩა, სადაც ჩვენი მამაპაპური სახელოსნოები განლაგდება. ასე რომ, სათანადო ხელოსნებიც დაგვჭირდება.

— ბახმარო მთისა და ზღვის კლიმატის უნიკალური შეზავებით გამოირჩევა სხვა მაღალმთიანი კურორტებისგან. სახგზირო გზა კი ერთობ დააახლოებს მთასა და ზღვას. დელტაპლანერებიც თუ გაახალისებენ აქაურობას?...

— დაგეგმილია სხვადასხვა ტიპის საბაგირო გზების მშენებლობა, რომელთა საერთო სიგრძე 16 კილომეტრს აღწევს. კურორტის ზღვასთან დაკავშირება არცთუ შორეული პერსპექტივაა.

აქაური რელიეფი თითქოს საგანგებოდ მოუმარჯვებია ბუნებას დელტაპლანერიზმისათვის. ამ მიზნით რამდენიმე საცდელი გაფრენაც მოეწყო და

ეძღვნება ყრილობას

სკკპ მომავალი XXVII ყრილობის აღსანიშნავად გამოუშვეს საფოსტო ბლოკი და მარკები.

ბლოკზე გამოსახულია კრემლის ყრილობათა სასახლე, სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა და ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

ერთ-ერთ მარკაზე დახატულია კრემლის ყრილობათა სასახლე, რომელზეც დროშები ფრიალებს. ნახატს კომპოზიციას ავსებს წითელი მიხაკი.

შეორე მარკაზე გამოსახულია კრემლის ყრილობათა სასახლე, მოსკოვის კრემლის მაცხოვრის კოშკი და ვ. ი. ლენინის პორტრეტი. მარკის ქვედა ნაწილში გამოსახულია ნამგლისა და ეროს ემბლემა. საფოსტო ანაზღაურების თითოეულ ნიშანზე სამახსოვრო წარწერაა: „სკკპ XXVII ყრილობა“.

მომავალი ყრილობის აღსანიშნავად გამოშვებულია აგრეთვე საფოსტო ბარათი ორიგინალური ნახატიანი მარკით და მხატვრული მარკიანი კონვერტების სერია.

(სპკდსი).

პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს

პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია — 2500 მანეთი — დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის დადგენილებით და მისი მინიჭება ხდება სამ წელიწადში ერთხელ ქიმიისა და ფიზიკის დარგში თვალსაჩინო თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის.

პრემია მიენიჭება პ. მელიქიშვილის დაბადების დღეს — 11 ივლისს.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეული ავტორთა ან კოლექტიური ნაშრომები, რომლისთვისაც პრემია მიეცემათ ხელმძღვანელებსა და ძირითად ავტორებს.

სხვადასხვა ნაშრომისათვის ორ ან მეტ მაძიებელს შორის პრემიის გაყოფა არ შეიძლება.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევით ან სხვა დაწესებულებაში, უმაღლეს სასწავლებელში ან ცალკეულ პირთა მიერ. პრემიის მოსაპოვებლად, გამონაკლისის სახით, შეიძლება საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ წარმოდგენილ იქნეს რესპუბლიკის გარეთ შესრულებული ნაშრომი.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი უნდა იყოს წინა სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომები, მაგრამ გამოცემული არა უგვიანეს ექვსი თვისა ამ განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომები, რომელთაც მიენიჭათ ლენინური, სახელმწიფო პრემია ან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებისა და დარგობრივი აკადემიების სახელობითი პრემიები, პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია განმეორებით არ მიენიჭება.

ნაშრომი პრემიაზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო საზოგადოების, უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან სათანადო წამყვან მეცნიერთა ან სპეციალისტების მიერ.

პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსოდ უნდა წარმოდგენოთ:

1. საკონკურსოდ გათვალისწინებული გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად; 2. დასაბუთებული წარმოდგენება, რომელიც ასახავს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას და განმარტავს მის მნიშვნელობას სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის; 3. მონაცემებში ავტორის შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა, აღმოჩენათა, გამოგონებათა სია; ცნობა სამუშაო ადგილის და თანამდებობის შესახებ, ბინის მისამართი); 4. ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული სხვა სახელობითი პრემიები.

პრემიის მოსაპოვებლად მასალები განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიგზავნოს მისამართით: თბილისი—8, რუსთაველის 52, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, წარწერით: „პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — კონცერტი. 10.00 — „ოჯახი და სკოლა“. 10.30 — ტელეფილმი „იავნანა“. 11.00 — „ჯანმრთელობა. 11.45— კონცერტი. 12.10 — VII რესპუბლიკური მხატვრული გამოფენა „საბჭოთა რუსეთი“. 12.45 — „ყველასა და თითოეულისათვის“. 13.15 — ფილმ-კონცერტი „პაეშანი ვალსთან“. 14.00 — მხატვრული ტელეფილმი „მზის შვილები“. I და II სერია. 15.30 და 17.10 — ახალი ამბები. 17.15 — პოეტური ანთოლოგია. ვლადიმერ მაიაკოვსკი. 17.35 — „აშკარა — დაუჯერებელი. 18.35 — მულტფილმები. 18.45 — „გაბუქებს სიმღერას“. 19.20 — ტელეხიდი მოსკოვი — მინესოტა (ეთერში სამანტა სმიტის ხსოვნას). 20.20 — ახალი ამბები. 20.25 — ეკრანზეა კინოკომედია „ბრილიანტის ხელი“. 21.00 — „ვრემია“. 22.40 — საესტრადო გასართობი გადაცემა „ლაბირინთი“. შესვენებისას (23.40) — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „გრიგოლ ხანჯარელი“. 9.45 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — „დილის ფოსტა“. 10.45 — ობიექტივი. 11.15 — კონცერტი. 12.45 — მხატვრული ტელეფილმი „ეს ყველაფერი მასზეა“. I სერია. 14.00 — მოგზაურთა კლუბი. 15.00 — საესტრადო წარმოდგენა. 16.45 — ხელბურთი. მოსკოვის ოლქის „დინამო“ — ცსკა. 17.15 — მულტფილმები. 17.50 — ხელოვნების ოსტატები. ო. იანკოვსკი. 19.10 — რეკლამა. 19.15 — ფესტივალები, კონკურსები, კონცერტები. 20.15 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარაბო!“. 21.15 — ჯ. პაუსტოვსკი — „გაცვეთილ ფარაჯიანი მოხუცი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „შენი მიწა“. 0.10 — ახალი ამბები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — მოამბე. 10.20 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — „ჯანმრთელობა“ (მ.). 11.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.50 — ხალხური შემოქმედება — ფოლკლორული სალამო ვანში (განმეორებით). 13.00 — თეატრალური კალეიდოსკოპი. 14.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.55 — კონცერტი. 15.50 — შევისწავლოთ რუსული ენა. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.15 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“ — სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.00— მოსწავლეთათვის. „ჯაჯოსნური საღებავი“. 17.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოლინკა“. 18.15 — მღერის მედალ ძიძიგური. 19.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 19.05 — სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად. „დიალოგი ყრილობის დელეგატთან“ (გადაცემა მეცხრე). 19.20 — სამანქა სმიტის ხსოვნისადმი მიძღვნილი სატელევიზიო ხიდი „მოსკოვი-მინესოტა“ (მ.). 20.20 — მოამბე. 21.05 — ი.ჭავჭავაძის საიუბილეოდ — ლიტერატურული თეატრი „განდეგილი“ (კინოსტუდიის სახელობა). 21.40 — დოკუმენტური ფილმი „მძლავრი მარჯვენით“. 22.00— „ვრემია“. 22.40 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტრავიატა (მე-2 აბონ. მე-5 წარმოდგენა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გარეთ; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის —. ქუთათურთა ფანდური; თბილისის სახელმწიფო დრამატული — ჭინჭრაქა; მინიატურების სახელმწიფო — პაემანი ხეზე ანუ ბესარიონის თავგადასავალი; მოზარდ მაყურებელთა ქართული — გამოცდა (აბონ. № 70).

Ი. მენთეშაშვილის დაბადების 80 წლისთავის გამო

ფართო დიაპაზონის მეცნიერი

ფსიქიატრია მედიცინის ერთ-ერთი რთული და მძიმე დარგია. ორმოცი წელი ემსახურა ი. მენთეშაშვილი მისი განვითარებისა და წინსვლის საქმეს და ბევრი შეტატა ქართული ფსიქიატრიის თეორიასა და პრაქტიკას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ პროფესორ მ. ასათიანის რეკომენდაციით ი. მენთეშაშვილი ორდინატორად დატოვეს ფსიქიატრიის კათედრაზე. 1937 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, ოთხი წლის შემდეგ — სადოქტორო, და მალე პროფესორის წოდება მიენიჭა.

1954 წლიდან აირჩიეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიისა და სანჰიგიენის ფაკულტეტის ფსიქიატრიის კათედრის გამგედ, შემდეგ კი სამედიცინო ინსტიტუტის გაერთიანებული ფსიქიატრიის კათედრის გამგედ. დიდი სამამულო ომის დროს იგი სამხედრო ექიმი იყო და თავდადებით მუშაობდა ქერჩის ფრონტზე.

პროფესორი ი. მენთეშაშვილი ფართო დიაპაზონის მეცნიერი და მკვლევარი იყო. არ დარჩენილა ფსიქიატრიის სფეროში უბანი, მას რომ თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას. უპირველესად იგი ნიჭიერი კლინიცისტი იყო და დიდი დამსახურება აქვს კლინიკური ფსიქოპათოლოგიის რთული საკითხების შესწავლისა და დაზუსტების საქმეში.

40 წლის დაძაბული და ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომის შედეგად ი. მენთეშაშვილმა 135 ნაბეჭდი შრომა დატოვა, რომელთაგან 126 კლინიკური და ექსპერიმენტული ხასიათისაა (აქედან 6 მონოგრაფიაა, 19 — სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისა). ეს შრომები იმის ნათელი დემონსტრაციაა, თუ რა ფართო და მრავალმხრივია მათი ავტორის შემოქმედებითი ინტერესი და კვლევის დიაპაზონი.

განსაკუთრებით დიდი თეორიული და კლინიკური ღირებულებისაა ი. მენთეშაშვილის გამოკვლევები ფსიქოზთა პათობიოლოგიური საფუძვლების დადგენის საქმეში, მისი შრომები ფსიქოზთა მკურნალობის, ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზაციის, სამხარეო პათოლოგიის, ფსიქოჰიგიენის და ფსიქოპროფილაქტიკის თაობაზე.

როგორც მ. ასათიანის უახლოესი მოწაფე, ი. მენთეშაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ნევროზებისა და ფსიქოთერაპიის საკითხების კვლევას. იგი ჩინებული ფსიქოთერაპევტი გახლდათ და ამაში თავისი შესანიშნავი ადამიანური თვისებებიც უწყობდა ხელს — თავმდაბლობა, კეთილსინდისიერება, გულისხმიერება, ოპტიმიზმი, კრისტალური სიწმინდე, რაც ესოდენ აუცილებელია ექიმისა და მეცნიერისათვის.

ი. მენთეშაშვილი ფართოდ ერკვეოდა ფილოსოფიაში, ეკუთვნოდა ეროვნული ინტელიგენციის ერთ-ერთ ბრწყინვალე ორატორად. ამ ბრძოლა-ბრძოლა ბევრ ლექციებ ... ...